ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 04.03.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
თამარ ცირეკიძე - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტრენერი და კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლაშა მკურნალიძე - ასოციაციის „სკოლა - ოჯახი - საზოგადოება" აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პროგრამის კოორდინატორი;
პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;
თინათინ ცერცვაძე - დებატებისა და განათლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
იოსებ კელენჯერიძე - მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გაბრიელ პოსოხოვი - გარე მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ლევან ჭელიძე - შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის დირექტორი;
2. ია ხურცილავა - შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:10 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის (შემდგომში მდივანი) მოვალეობის შესრულება დაავალა მაია მაღლაკელიძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში (ს/კ №212836573) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, რომელმაც დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გარე მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტმა გაბრიელ პოსოხოვმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის დირექტორმა მონიტორინგის ჯგუფს წარმოუდგინა 2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის 1.2 პუნქტში წერია: სკოლის მისიაა მოსწავლეთა აღზრდისა და დაწყებითი განათლების უმაღლესი სტანდარტების მიღწევა; სკოლის წესდების მუხლი 2 გვამცნობს: სკოლა ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მისიას წარმოადგენს აღზრდისა და განათლების უმაღლესი სტანდარტების მიღწევა; სკოლის შინაგანაწესის 1.3 პუნქტი: სკოლის მისიაა მოსწავლეთა აღზრდისა და შესაბამის საფეხურზე განათლების უმაღლესი სტანდარტების მიღწევა. წარმოდგენილი მისიებიდან გაურკვეველია რომელი საფეხურის უმაღლესი სტანდარტების მიღწევას აპირებს სკოლა.

სასკოლო სასწავლო გეგმის მეორე თავი წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალს (მხოლოდ) ეროვნული სასწავლო გეგმის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესათავაზებლად სკოლამ უნდა განსაზღვროს:

ა) დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;

ბ) დამატებითი საგანმნათლებლო მომსახურების სახე (ფაკულტატური/ სავალდებულო);

გ) თითოეული დამატებითი საგნისათვის სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში);

დ) სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასების პრინციპები. ეს მოთხოვნები შესრულებული არ არის.

საათობრივი ბადე წარმოადგენს ამონარიდს ეროვნული სასწავლო გეგმიდან I-VI და VII-XII კლასებისთვის, თუმცა სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და დირექტორმაც დაადასტურა რომ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი საათობრივი ბადე, რომლის მიხედვითაც „სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის

გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით".

შემადგენელი ნაწილებიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და კლასების შესაბამისად, თუმცა არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით, ამ შემთხვევაში დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია: „სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;"

სასკოლო სასწავლო გეგმაში არის მოსწავლის შეფასების სისტემა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რითაც დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „თ"ქვეპუნქტის მოთხოვნები. თუმცა შინაგანაწესის მე-14 პუნქტში მოცემულია დამრიგებლის უფლება-მოვალეობები.

შესაბამისად, დარღვეულია - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ა" პუნქტი; წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე" და „თ" ქვეპუნქტებს; მე-12 მუხლის მე-4 პუნქტს; მე-13 მუხლის პირველ პუნქტს.

1.2 სკოლას არ აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

რითაც , დარღვეულია - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „გ" პუნქტი.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არის შეფასების ზოგადი სისტემა, მაგრამ არ არის მოსწავლეთა შეფასების კონკრეტული სისტემა საგნების/კლასებისა და კომპონენტების მიხედვით, ვერ დგინდება შეფასების გამჭვირვალობა, დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რომლის მიხედვითაც „მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ." და „მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა".

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „დ" პუნქტი; ასევე არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს.

1.4 სკოლას შემუშავებული არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

რითაც არღვევს - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2011 წლის 13 ოქტომბრის №337 გადაწყვეტილებით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჭყონდიდელის ქ. №83.

2013 წლის 6 დეკემბერს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ქ.ქუთაისში ჭყონდიდელის N83-ში მდებარე შპს სპექტრი-95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლაში. მონიტორინგის ჯგუფი ვიზიტის წინა დღეს, 5 დეკემბერს, დაუკავშირდა შპს სპექტრი-95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის დერქტორს ბ-ნ ლევან ჭელიძეს, რომელმაც განაცხადა რომ სკოლა აღარ ფუნქციონირებს აღნიშნულ მისამართზე და გადასულია გუგუნავას №1-ში.

მონიტორინგის ჯგუფი ფაქტის დადასტურების მიზნით დაუკავშირდა ქ.ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომელს გიგა ციბაძეს, რომელიც ქ. ქუთაისში ჭყონდიდელის N83-ში მონიტორინგის ჯგუფთან ერთად გამოცხადდა. შემდგომ ადგილზე შედგა ოქმი, რაზეც ხელი მოაწერეს მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა და ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომელმა გიგა ციბაძემ. ამის შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი დირექტორის მიერ მითითებულ მისამართზე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი.

წარმოდგენილია საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ პირ გოჩა ბარათაშვილთან (პ/ნ 60001000163) გუგუნავას ქ. №1-ში მდებარე შენობის მე-2 და მე-3 სართულების იჯარით გადაცემაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 წელი (2013 წლის 31 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 ოქტომბრამდე). აღნიშნული ხელშეკრულებიდან ვერ დგინდება გადაცემული ფართის ოდენობა.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.

2.2 ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს 26 საკლასო ოთახი, აქედან მე-2 სართულზე 6 საკლასო ოთახია, აღჭურვილი შესაბამისი რაოდენობის დაფებით, 32 ერთადგილიანი და 19 ორადგილიანი მერხით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია.

შესაბამისად, დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 ოქტომბრის N337 გადაწყვეტილების მოთხოვნა. დარღვეულია ასევე „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

2.3 დირექტორის ზეპირი განმარტებით, დაწესებულებას გააჩნია სპორტული დარბაზი, რომელშიც ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი.

2.4 სკოლის მე-2 სართულზე განთავსებულია 2 სველი წერილი, რომლებიც საჭიროებენ რემონტს. სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული სველი წერტილი.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.5 დირექტორის ზეპირი განმარტებით, სკოლაში არის ბიბლიოთეკა, მაგრამ მისამართის შეცვლის გამო, ბიბლიოთეკა არ არის მოწესრიგებული.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ფიზიკური გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს I-VI კლასების 32 სახელმძღვანელო.

რითაც , დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2.6 სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

2.7 ვიზუალური დათვალიერებით სკოლას გააჩნია 7 პერსონალური კომპიუტერი.

ვებგვერდი არ მუშაობს.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

2.8 დაწესებულებას არ აქვს გაწერილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა , რომ სკოლას გააჩნია 3 დაუმონტაჟებელი ცეცხლმაქრი.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი.

2.9 დაწესებულებას არ გააჩნის საევაკუაციო გეგმა.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.

2.10 დაწესებულებაში არ არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი.

2.11 დაწესებულებაში არ არსებობს წესრიგის დაცვის მექანიზმები.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი.

2.12 ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ არის დაუმონტაჟებელი უსაფრთხოების 1 კამერა.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტი.

2.13 დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება და შინაგანაწესი, რომლებიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მაგ.: წესდების მიხედვით, სკოლის მართვის ერთ-ერთი ორგანოა ადმინისტრაცია, რომელიც შედგება დირექტორის მოადგილეების, ბიზნეს ადმინისტრაციისა და კანცელარიის გამგისაგან. ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობები გაწერილია წესდებაში (მუხლი 4) და შინაგანაწესში (პუნქტი 9), რომლებიც არ შეესაბამება ერთმანეთს, გარდა ამისა, დირექტორის განმარტებით, მას არ ჰყავს არც მოადგილე, არც ბიზნეს - ადმინისტრაცია და არც კანცელარიის გამგე. ასეთი მდგომარეობაა დირექტორის უფლება -მოვალეობების აღწერაშიც. (წესდება მუხლი 3.3 და შინაგანაწესი პუნქტი 2).

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

2.14 დაწესებულებაში არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი. სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებების აღირცხვის ჟურნალი.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა საათობრივი ბადე, ვერ დადგინდა ადამიანური რესურსის შესაბამისობა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესთან. შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად: ქართული ცეკვის პედაგოგის ილონა ხუნჯუას პირად საქმეში არ დევს ცეკვის პედაგოგის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, თუმცა წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი.

3.4 სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

შესაბამისად, დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი.

4. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულებასთან მიმართებით:

4.1 ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებების წიგნი, დოკუმენტურად ვერ დადგინდა კლასების მიხედვით მოსწავლეთა დაზუსტებული სია.. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა მოსწავლეთა სახელობითი სია კლასების მიხედვით, რომლის მიხედვითაც სკოლაში ირიცხება I-VI კლასების 41 მოსწავლე.

მონიტორინგის ჯგუფმა კონტინგენტის გადამოწმების მიზნით, მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ 2013 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, სკოლას ერიცხებოდა 69 მოსწავლე, მათ შორის 31 VII-XII კლასის მოსწავლე. გარდა ამისა, 2012 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, სკოლას ერიცხებოდა 53 მოსწავლე. მათ შორის 27 VII-XI კლასის მოსწავლე. ამასთან, მე-10 კლასის მოსწავლეს ლევან ქაშიბაძის სახელზე გაცემულია საბაზო განათლების ატესტატი. გარდა ამისა, 2012-2013 და 2013-2014 სასწავლო წლების განმავლობაში ფიქსირდება II და III საფეხურის მოსწავლეთა მობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 21 თებერვლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე დაწესებულების წარმომადგენლის არგამოცხადების მიზეზი გახლდათ ის, რომ მას აღნიშნული სხდომის გამართვის შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ ცნობა 2014 წლის 21 თებერვლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გამართვის თაობაზე ცენტრის ვებგვერდზე კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო გამოქვეყნებული.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო წელი დაწესებულებამ დაიწყო ახალ მისამართზე, კერძოდ გუგუნავას №1-ში, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოების ნაწილი ახლაც მიმდინარეობდა სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2011 წლის 13 ოქტომბერს, როდესაც დაწესებულებამ მიიღო ავტორიზაცია, მდებარეობდა ჭყონდიდელის ქ. №83-ში. საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, აცნობა თუ არა დაწესებულებამ ცენტრს მისამართის შეცვლის ფაქტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის

შემდგომ, დაახლოებით სექტემბრის თვეში მოხდა ცენტრისთვის წერილობით აღნიშნული ფაქტის ცნობება. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა გაბრიელ პოსოხოვმა განმარტა, რომ 2013 წლის 6 დეკემბერს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ქ. ქუთაისში ჭყონდიდელის N83-ში მდებარე შპს სპექტრი-95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლაში. მონიტორინგის ჯგუფი ვიზიტის წინა დღეს, 5 დეკემბერს, დაუკავშირდა შპს სპექტრი-95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის დერქტორი, რომელმაც განაცხადა რომ სკოლა აღარ ფუნქციონირებს აღნიშნულ მისამართზე და გადასულია გუგუნავას №1-ში. ამის შემდგომ, მონიტორინგის ჯგუფი ფაქტის დასადასტურებლად დაუკავშირდა ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელს, რომელიც ქ. ქუთაისში ჭყონდიდელის N83-ში მონიტორინგის ჯგუფთან ერთად გამოცხადდა და შედგა შესაბამისი ოქმი. ამის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი დირექტორის მიერ მითითებულ მისამართზე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი იყო ფიზიკურ პირთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება. საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ მარტო საიჯარო ხელშეკრულება არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში დადასტურებოდა ფართი. ფართის მართლზომიერ მფლობელობაში დასადასტურებლად საჭირო იყო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც დაწესებულებას არ ჰქონდა. სკოლის დირექტორმა განმარტა , ხელშეკრულება დადებული იყო 1 წლის ვადით და ამიტომ არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ მოცემული ხელშეკრულებით ვერ დგინდებოდა გადაცემული ფართის ოდენობა. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რა ფართი იყო გათვალისწინებული მთლიანად საიჯარო ხელშეკრულებით. გაბრიელ პოსოხოვმა უპასუხა, რომ ფართის ოდენობა ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული, უბრალოდ მოცემული იყო, რომ დაწესებულებას გადაცემული ჰქონდა გუგუნავას ქ. №1-ში მდებარე შენობის მე-2 და მე-3 სართულები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის გადავიდა დაწესებულება ახალ მისამართზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობაში სარემონტო სამუშაოები ზაფხულში დაიწყო, ვინაიდან შეუძლებელი იყო იქ სასწავლო პროცესის წარმართვა. სხდომის თავმჯდომარე თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებული იყო სკოლის სტრატეგიულ გეგმაში. თამარ ცირეკიძემ საკითხის დაზუსტების მიზნით მიმართა სკოლის დირექტორს, იყო თუ არა სტრატეგიული გეგმით ამ პერიოდში გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების განხორციელება. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმა კალენდარულად არ იყო გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაფიქსირებული შენიშვნები გამოსწორებული იყო და ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საბჭოს სხდომაზე ელექტრონული მეხსიერების ბარათით ჰქონდა მოტანილი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, მისიის ტექსტის 3 სხვადასხვა ვარიანტიდან რომელი მოქმედებდა დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა , რომ ცენტრში წარმოდგენილი იყო შესაბამისი წერილი, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლისა და შპს ეროვნული სკოლა გიმნაზიის რეორგანიზაცია, 2 სკოლის მატერიალური რესურსების გაერთიანებას კი სჭირდებოდა გარკვეული პერიოდი, დაახლოებით 3-4 თვე.

ლაშა მკრუნალიძემ ადგილზე გადაამოწმა 2013 წლის 12 დეკემბერს ცენტრში შემოსული დაწესებულების წერილი, რომლითაც სკოლა იტყობინებოდა, რომ შეიცვალა მისამართი და გადავიდა გუგუნავას №1-ში მდებარე შენობაში. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის განმარტებით მსგავსი შინაარსის წერილი ცენტრში გამოგზავნილი იყო სექტემბრის თვეში, მაშინ როდესაც, რეალურად წერილი დაწესებულების მიერ დათარიღებული იყო 2013 წლის 3 დეკემბრით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მას წერილის გამოგზავნის ზუსტი თარიღი არ ახსოვდა. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუკი დაწესებულებამ მისამართი შეიცვალა სექტემბრის თვეში, რატომ აცნობა ამის შესახებ ცენტრს დეკემბერში. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, სად სწავლობდნენ სკოლის მოსწავლეები აღნიშნულ პერიოდში. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები სწავლობდნენ გუგუნავას №1-ში მდებარე შენობაში. სხდომის თავმჯდომარე თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, უშლიდა თუ არა სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობაში დერეფნის მარცხენა მხარე იყო მოწესრიგებული და იქ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც სკოლაში საბოლოოდ დალაგდა მდგომარეობა, მხოლოდ ამის შემდგომ აცნობა ცენტრს მისამართის ცვლილების ფაქტი.

საბჭოს წევრი ლაშა მკრნალიძე დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობა დახვდა მონიტორინგის სამსახურს ჭყონდიდელის №83-სა და გუგუნავას №1-ში. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელამ აღნიშნა, რომ ჭყონდიდელის №83-ში მდებარეობდა საცხოვრებელი ბინა, რომლის მობინადრემაც არ ისურვა მონიტორინგის ჯგუფის წევრების შეშვება. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, ეს იყო კორპუსის ბინა, თუ კერძო სახლი. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ ჭყონდიდელის №83-ში მდებარეობდა 2 სართულიანი კერძო სახლი. რაც შეეხება გუგუნავას №1-ში მდებარე შენობას, იქ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შენობის მე-2 სართულზე, მე-3 სართული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის იყო სრულიად გამოუსადეგარი.

ლაშა მკრურნალიძე დაინტერესდა, მიმდინარეობდა თუ არა სარემონტო სამუშაოები მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოები მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრი თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა, თუ რამოცემულობა ჰქონდა ამჟამად სკოლას, კერძოდ რომელ საფეხურებზე ახორციელებდა სწავლებას და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა რეორგანიზაცია და სკოლას ჰყავდა ყველა საფეხურის კლასის მოსწავლე. ლაშა მკრუნალიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ მას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უფლება ჰქონდა განეხორციელებინა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. ლაშა მკურნალიძის განმარტებით, სამეწარემო რეესტრის მონაცემებით შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლა (ს/კ №212694645) და შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაშია (ს/კ №212836573) იყვნენ დამოუკიდებელი იურიდიული პირები, შესაბამისად, საბჭო იმ გარემოებას რომ მიმდინარეობდა ამ ორი სუბიექტის რეორგანიზაციის პროცესი ვერ გაითვალისწინებდა, რადგან საბჭოს არ შეეძლო ემსჯლა იმაზე, თუ რა შედეგით დამთავდებოდა რეორგანიზაცია. შესაბამისად, დღის მდგომარეობით შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას ჰქონდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი მთლიანად გადართული იყო სარემონტო სამუშაოებზე. სხდომის თავმჯდომარემ თამარ ცირეკიძემ აღნიშნა, რომ იგი მოცემულ არგუმენტს ვერ გაითვალისწინებდა.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში მოსწავლეების ანბანური სია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის მას ასეთი სია არ ჰქონდა. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იცოდა თუ არა მან, რომ მის დაწესებულებაში იგეგმებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის განხორციელება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ვიზიტის თაობაზე ეცნობა ვიზიტის დაყვებამდე 1 დღით ადრე. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" თანახმად, ვიზიტის ბრძანება დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წინა კვირის მონაცემებით შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლაში ირიცხებოდა 66 მოსწავლე, აქედან 34 მოსწავლე ირიცხებოდა მეორე და მესამე საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის დაიწყო დაწესებულებამ რეორგანიზაციის პროცესი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია დაიწყო 2013 წლის 26 დეკემბრის შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას ჰქონდა 2002 წელს აღებული ლიცენზია, რომლის მიხედვითაც სკოლას შეეძლო განეხორციელებინა მეორე და მესამე საფეხურის ზოგადსგანმანათლებლო პროგრამები. ლაშა მკრუანლიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მისი აზრით მოქმედებდა თუ არა აღნიშნული ლიცენზია. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას მოქმედი კანონდებლობა 2010 წლიდან აღარ იცნობდა და თუკი, რომელიმე დაწესებულებას გაუჩნდებოდა სურვილი მოეპოვებინა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ვალდებული იყო გაევლო ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ მიიღო სკოლამ მოსწავლეები მე-2 და მე-3 საფეხურებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 24 მოსწავლე, რომელიც სწავლობდა სკოლაში სოციალურად დაუცველი იყო და ვერ იხდიდა სწავლის საფასურს. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელა ის ფაქტი, რომ სკოლა საქველმოქმედო საქმიანობით იყო დაკავებული და ასწავლიდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს, თუმცა დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა შპს-ა შესაბამისად, მოგებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდა სკოლას სპორტული დარბაზი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპორტული დარბაზი წესრიგში იყო, რადგან იქ რემონტი დამთავდა.. ლაშა მკურნალიძემ დაზუსტების მიზნით იკითხა, სჭირდებოდა თუ არა დამატებით სპორტულ დარბაზს დამატებით სარემონტო სამუშაოები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია დარბაზს მცირე რემონტი დასჭირვებოდა.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, როდესაც დაწესებულებამ 2011 წლის ოქტომბრის თვეში მიიღო ავტორიზაცია, როდის დაიწყო სკოლამ სასწავლო პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ავტორიზაციის მიღების შემდგომ საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან ავტორიზაციის მიღებამდე დაწესებულება ახორციელებდა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, სკოლა იძულებული გახდა გაეშვა 23 მოსწავლე, სკოლაში დამატებით ფუნქციონირება დაიწყო მანდატურის სამსახურმაც. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ მოცემული არგუმენტი ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან იმ პერიოდში, , ბევრმა სკოლამ არ გაუფორმა ხელშეკრულება მანდატურის სამსახურს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2012 წელს იძულებული იყო შეეყვანა მანდატურის სამსახური სკოლაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა გაუქმებოდა ავტორიზაცია. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ თუკი დაწესებულების წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო დანაშაულის ან გადაცდომის ნიშნები, უნდა მიემართა შესაბამისი უწყებებისთვის.

ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონოდა კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, წესდება, შინაგანაწესი. ასევე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რატომ ვერ იქნა ვიზიტის დროს წარმოდგენილი ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული დოკუმენტები არსებობდა და ამჟამად ყველა მათგანი იყო სკოლაში. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რამდენ დღიანი იყო ვიზიტი. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა 1 დღის განმავლობაში. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რატომ ვერ იქნა მოძიებული აღნიშნული დოკუმენტაცია 1 დღის განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტი თავმოყრილი იყო ტომარაში და 1 დღის განმავლობაში ვერ მოძებნიდა მათ. ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით, მისთვის შუა სასწავლო წელს საქმისწარმოების დოკუმენტაციის ტომარაში განთავსება იყო სრულად წარმოუდგენელი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ ვერ წარუდგინა დაწესებულებამ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს საათობრივი ბადე და სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და კლასების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეული დეტალები იყო დაუმუშავებელი ვიზიტის მიმდინარეობისას, თუმცა ამჟამად სკოლას ჰქონდა ყველა დოკუმენტი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენ ხანს არ ფუნქციონირებდა სპორტული დარბაზი. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახალ მისამართზე გადავიდა სექტემბრის თვეში და სწავლა დაიწყო 26 რიცხვიდან და სპორტული დარბაზი ფუნქციონირებდა. თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, თუ სად ტარდებოდა ცეკვის გაკვეთილები, კლასში თუ სხვა გამოყოფილ ადგილას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცეკვის სწავლება ხდებოდა სახელმძღვანელოს გამოყენებით.

ლაშა მკურნალიძემ დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას გულისხმდა, როდესაც ამბობდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაფიქსირებული ყველა შენიშვნა ჰქონდა გამოსწორებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწყებული იყო რეორგანიზაციის პროცესი ყველა დოკუმენტი მუშავდებოდა ახალ სუბიექტის სახელზე და აღნიშნული დოკუმენტაცია ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოს სხდომაზე. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი დოკუმენტები დაწესებულებას ვიზიტის მიმდინარეობისას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულყოფილი ფორმით არა, ანუ ვიზიტის პერიოდში დოკუმენტებში ფიქსირდებოდა გარკვეული სახის ხარვეზები.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით რეორგნაიზაციის დაწყებამდე, დაწესებულებას უნდა შეექმნა დოკუმენტაცია და მისამართის ცვლილება გონივრულ ვადაში უნდა ეცნობებინა ცენტრისთვის.

საბჭოს წევრი მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა თუ რა ვითარება იყო სკოლის ბიბლიოთეკაში. გაბრიელ პოსოხოვმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დირექტორის ზეპირი განმარტებით, სკოლაში იყო ბიბლიოთეკა, მაგრამ მისამართის შეცვლასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკა არ იყო სრულყოფილი. . გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ფიზიკური გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა I-VI კლასების 32 სახელმძღვანელო. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ყველა წიგნი იყო ბიბლიოთეკაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა პრობლემები რჩებოდა სკოლას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპისთვის არ იყო შემოტანილი სასწავლო მერხები და კომპიუტერები, რომელთა გადმოტანაც ეტაპობრივად მიმდინარეობდა. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, წესრიგში იყო თუ არა სველი წერტილები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სველი წერტილები უკვე გარემონტებული და მოწესრიგებული იყო.

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი რამაზ გიუნაშვილი დაინტერესდა შეიძინა თუ არა დაწესებულებამ ერთადგილიანი მერხები და უსაფრთხოების კამერები. დაწესებულების წარმომადგენელმა მერხებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოხდა მერხების ერთადგილიანად გადაკეთება. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გადააკეთა თუ არა 100 მერხი ერთადგილიანად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მერხები გადაკეთებული იყო სტანდარტების შესაბამისად.

კამერებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიძინა ერთი უსაფრთხოების კამერა და მეორესაც უახლოეს პერიოდში შეიძენდნენ.

რამაზ გიუნაშვილი დაინტერესდა, ეხლა ხომ არ იყო შემქნილი სკოლის ბრძანებების წიგნი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბრძანებების წიგნი ვიზიტის მიმდინარეობის დროსაც არსებობდა. საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თან ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წამოღებული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი თან არ ჰქონდა.

გაბრიელ პოსოხოვმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რომელი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იყო გათვლილი სკოლის მისია. დაწესებუელბის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისია გათვლილი იყო დაწყებითი საფეხურის პროგრამაზე.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა ნოდარ ანგურიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სასკოლო გეგმა რომელი საფეხურისთვის იყო შექმნილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმა შედგენილი იყო სამივე საფეხურისთვის.

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა გაბრიელ პოსოხოვმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წინა ავტორიზაციის სხდომის მსგავსად, თუკი დაწესებულება რაიმე შენიშვნას ასწორებდა, მონიტორინგის სამსხურს აღნიშნული ხარვეზი საბჭოს წინაშე აღარ გამოჰქონდა. შესაბამისად, გაბრიელ პოსოხოვის განმარტა, რომ დაწესებულებას მიეცა მითითება, რომ თუკი სკოლა გამოასწორებდა ხარვეზების ნაწილს, მას აღნიშნულის დასადასტურებლად

ცენტრში ოფიციალურად უნდა წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ასეთი დოკუმეტაცია წარმოდგნეილი არ ჰქონდა, რადგან სკოლამ დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. გაბრიელ პოსოხოვმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმოამდგენელს ჰქონდა თუ არა სკოლას გამოგზავნილი ცენტრში ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასეთი დოკუმენტაცია ცენტრში არ ჰქონდა გამოგზავნილი.

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლის გაბრიელ პოსოხოვის მოსაზრებით, დაფიქსირებული ხარვეზების უმეტესობა იყო გამოუსწორებადი, მაგალითად -ატესტატების გაცემა, 2012-2013 და 2013-2014 სასწოვლო წლების განმავლობაში დაფიქსირებული II და III საფეხურის მოსწავლეთა მობილობა, 4 თვის განმავლობაში სპორტული გაკვეთილების არჩატარება და სხვა.

სხდომაზე 17:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ეხებოდა თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია ეხებოდა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა მონიტორინგის სამსხურის წარმომადგენლის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სკოლას უფიქსირდებოდა ისეთი ხარვეზები, რომელთა გამოსწორებასაც 15 დღეში ვერ მოახერხებდა. ლაშა მკურნალიძის მოსაზრების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო ისეთი ხასიათის შენიშვნებიც, რომელთა გამოსწორებაც აღარ შეიძლებოდა, ანუ აშკარა იყო დამატებითი ვადის განსაზღვრას არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას თუ სურდა საბჭოს სხდომაზე წარმოედგინა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მას აღნიშნული დოკუმენტაცია არა ელექტრონული მატარებლით, არამედ ოფიციალურად, უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა წარმოედგინა ცენტრში. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით იმდენად ბევრი შენიშვნა იყო დაფიქსირებული დასკვნაში, რომ შეუძლებელი იყო ასეთ სკოლას კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სათანადო დონეზე წარემართა სასწავლო პროცესი.

ლაშა მრუნალიძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის პროცესის დაწყების მიუხედავად, დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰოდნა უფლება, განეხორციელებინა მე-2 და მე-3 საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, დაწესებულებას საჯარო რეესტრის მონაცემებით არ უდასტურდებოდა ფართის მფლობელობა, კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით იყო გაცემული ატესტატი, 2012-2013 და 2013-2014 სასწოვლო წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა II და III საფეხურის მოსწავლეთა მობილობა, მაშინ როდესაც დაწესებულებას აღნიშნული საფეხურების განხორციელების უფლება არ ჰქონდა, გარკვეული პერიოდი არ ფუნქციონირებდა სპორტული დარბაზი და მოსწავლეებს არ უტარდებოდათ სპორტის გაკვეთილები. შესაბამისად, ლაშა მკურნალიძის განმარტებით, საბჭოს რომც ჩაეთვალა დაწესებულების მიერ ელექტრონული მატარებლით წარმოდგენილი

დოკუმენტაცია გამოსწორებულად, მაინც რჩებოდა მთელი რიგი დარღვევები, რომელთა გამოსწორებაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212694645) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომაზე 17:58 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თინათინ ცერცვაძემ.

2. შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში (ს/კ №212836573) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გარე მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტმა გაბრიელ პოსოხოვმა.

2013 წლის 5 დეკემბერს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ქ.ქუთაისში თაბუკაშვილის N4-ში მდებარე შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 3 დეკემბრის N437 ბრძანების საფუძველზე. მონიტორინგის ჯგუფს დავალებული ჰქონდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

მონიტორინგის ჯგუფი ვიზიტის წინა დღეს, 4 დეკემბერს, დაუკავშირდა შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიის დერქტორს ქ-ნ ია ხურცილავას, რომელმაც განაცხადა რომ არ იმყოფებოდა ქ. ქუთაისში. ასევე მან აღნიშნა რომ დაწესებულებას შეჩერებული აქვს ფუნქციონირება, რის შესახებაც ის აცნობებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.

მონიტორინგის ჯგუფი ფაქტის დადასტურების მიზნით დაუკავშირდა ქ.ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს - ცენტრის თანამშრომელს გიგა ციბაძეს, რომელიც ქ. ქუთაისში თაბუკაშვილის N4-ში მონიტორინგის ჯგუფთან ერთად გამოცხადდა. ისინი დაუკავშირდნენ შენობის მესაკუთრეს ბ-ნ ომარ მიქელთაძეს, რომელმაც ასევე დაადასტურა რომ შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზია აღნიშნულ მისამართზე აღარ ფუნქციონირებს. ადგილზე შედგა ოქმი, რაზეც აწერენ ხელს მონიტორინგის ჯგუფის წევრები, ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს - ცენტრის თანამშრომელი გიგა ციბაძე და ქ.ქუთაისში თაბუკაშვილის N4-ში მდებარე შპს ქუთაისის ცენტრალური საცურაო აუზის დირექტორი ბ-ნ ომარ მიქელთაძე.

დამატებით გაცნობებთ რომ 2013 წლის 11 დეკემბერს შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის დირექტორმა ქ-ნ ია ხურცილავამ კიდევ ერთხელ მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის სამსახურს (განცხადების რეგისტრაციის N593498. 11,12,2013), სადაც აღნიშნავს რომ აპირებს საგანმანათლებლო საქმიანობის განახლებას მისამართზე ქ.ქუთაისი გუგუნავას N1.

აღნიშნული გარემოებებიდან გამოდინარე მონიტორინგის ჯგუფმა ვერ შეძლო ავტორიზაციის პირობების შესრულებისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერსდა, თუ როდის განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი. გაბრიელ პოსოხოვმა განმარტა, რომ სკოლის წარმომადგენლებს მონიტორინგის სამსხურის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ 4 დეკემბერს და გაირკვა, რომ სკოლის დირექტორი არ იმყოფებოდა ქ. ქუთაისში და სკოლას შეჩერებული ჰქონდა ფუნქციონირება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიას სურდა შეერთებოდა შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას დაერთობლივად გაეგრძელებინათ საქმიანობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა გახდებოდა შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის სამართალმემკვიდრე. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა საბუღალტრო დოკუმენტაციის დამუშავება, რათა დროულად განხორციელებულიყო 2 სკოლის გაერთიანება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას მინიჭებული ჰქონდა საბაზო და საშუალო საფეხურების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლის დახურვა მოხდა იმიტომ, რომ შესაბამისმა სამსახურმა შენობის რემონტისთვის მოითხოვა საკმაოდ დიდი თანხა. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ამის შემდგომ, სკოლის მხრიდან მოხდა ინვესტორის მოძიება წილში შემოსვლის უფლებით, თუმცა მას თავისი ვალდებულებები არ შეუსრულებია.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა ინვესტორს სკოლის ვალი. დაწესებულებამ განმარტა, რომ შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიის წილი გაყოფილი იყო 50/50-ზე, და ერთ-ერთი წილის მფლობელი იყო სწორედ ის პირი, რომელიც დაპირდა სკოლას რემონტისთვის საჭირო თანხების გამოყოფას. იმის გამო, რომ აღნიშნულმა პირმა ვერ შეასრულა ვალდებულებები, სკოლა დაიხურა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად მათ გაერთიანებას შპს სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლასთან არანაირი აზრი აღარ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლა ინვესტორისგან ელოდა 2 მილიონიან დაფინასებას, რაც შემდგომში არ განხორციელებულა.საბჭოს წევრი პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, ადრე დაწესებულებას ერქვა თუ არა შპს აკ. წერეთლის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია და განმარტა, რომ დაწესებულებას სახელწოდება შეეცვალა 2011 წლის 29 დეკემბერს და ეწოდა - შპს ეროვნული სკოლა გიმნაზია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ აუქციონის წესით შეიძინა ის ფართი, სადაც ახორციელებდა საქმიანობას. თუმცა, ქალაქის მერია ედავებოდა სკოლას მიწის გადასახადის გადაუხდელობის გამო და შესაბამისად, მოხდა დაწესებულების ქონების დაყადაღება. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფმა ვერ შეძლო ავტორიზაციის პირობების შესრულებისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რა გეგმები ჰქონდა სკოლას ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სექტემბრისთვის გეგმავდა მოსწავლეების მიღებას. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ცნობა იმის თაობაზე, რომ სკოლა აღარ ფუნქციონირებდა, აცნობა როგორც ადგილობრივ რესურს-ცენტრს, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლამ ფუნქციონირება შეწყვიტა ზაფხულის პერიოდში, მას შემდეგ, რაც დასრულდა 2013 წლის სააატესტატო გამოცდები.

სხდომაზე 18:23 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მონიტორინგის ჯგუფის მიერ ვერ მოხდა ავტორიზაციის პირობების შესრულებისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, რამდენად იყო შესაძლებელი ხელმეორედ განეხორციელებინა მონიტორინგის სამსახურს დაწესებულებაში ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელმეორედ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის განხორციელება იყო შესაძლებელი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა დამუშავებული და ავტორიზაციის მინიჭების დროს აღნიშნული ნაწილიც საფუძვლიანად იყო გადამოწმებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სკოლას არ გააჩნდა ფართი, სადაც განხორციელდებოდა სწავლება.

საბჭოს წევრი მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას დაუდასტურდებოდა ფართზე კანონიერი მფლობელობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი ამონაწერი არ არსებობდა. უმთავრესი მოტივი, შპს ეროვნული სკოლა გიმნაზიის სხვა სკოლასთან გაერთიანება ფართის უქონლობა იყო . დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ ქ. ქუთაისში მოიძია ყველა შესაძლო ფართი და დაადგინა, რომ ავტოქარხნის ტერიტორიაზე იყო გარემონტებული შენობა, სადაც შეიძლებოდა სასწავლო პროცესის ჩატარება. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ ფართში გეგმავდა დაწესებულება ივლისის თვიდან მოსწავლეების მიღებას.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, შეძლებდა თუ არა სკოლა 15 დღის ვადაში წარმოედგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ავტორიზაციის ყველა სტანდარტის დაკმაყოფილების დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 15 დღის ვადაში აღნიშნულს ვერ შეძლებდა და სთხოვა ავტორიზაციის საბჭოს დამატებითი ვადა მიეცა 2014 წლის ივლისის თვემდე, ვინაიდან ავტოქარხნის ტერიტორიაზე არსებულ შენობას სჭირდებოდა დაცლა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მოწყობა.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ, დაწესებულება ვალდებულია სულ მცირე შეინარჩუნოს იგივე პირობები, ან გააუმჯობესოს ისინი. აღნიშნულ შემთხვევაში კი, სკოლას გაუარესებული ჰქონდა პირობები და ვეღარ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. ლაშა მკურნალიძემ დაწესებულებას განუმარტა, რომ თუკი დაწესებულება ავტორიზაციის მიღების შემდგომ იცვლიდა რაიმე მონაცემს, აღნიშნული უნდა ეცნობებინა ცენტრისთვის. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო მისამართის ცვლილება.. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ კანონის არცოდნა დაწესებულებას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებდა. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რომელი მისამართი იყო მითითებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ანგარიშში მისამართად მოცემული იყო - ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №4, რადგან აღნიშნულ პერიოდში სკოლა ჩვეულ რეჟიმში ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზების ნაწილი, მაგალითად: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა 15 დღეში იყო გამოსწორებადი. საბჭოს წევრმა ლაშა

მკურნალიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

ლაშა მკურნალიძემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაწესებულებამ მისამართის ცვლილების თაობაზე უნდა აცნობოს ცენტრს. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ 15 დღის ვადაში დაწესებულებაში განხორციელდებოდა მონიტორინგის სამსახურის ვიზიტი და მოხდებოდა დაწესებულების პირობების გადამოწმება ავტორიზაციის სტანდარტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, თუ როგორ უნდა მოეგვარებინა ფართთან დაკავშირებული პრობლემა. სკოლის მიერ მოძიებული შენობა ივლისის თვიდან თავისუფლდებოდა და ამ პერიოდიდან გადავიდოდა დაწესებულება აღნიშნულ ფართში. საბჭოს წევრმა თამარ ცირეკიძეს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სკოლას უნდა მოეძიებინა სხვა ფართი. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელდებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, ექსპერტები გადაამოწმებდნენ დაწესებულების პირობების შესაბამისობას ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს წევრებს, მიეცათ 15 დღეზე მეტი ვადა, რათა აღმოეფხვრა ხარვეზები. საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა ავტორიზაციის დებულების მიხედვით, საბჭოს, აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებისთვის მაქსიმუმ შეეძლო განესაზღვრა 15 დღიანი ვადა. ლაშა მკრუნალიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ ვადაში დაწესებულებას უნდა დაეკმაყოფილებინა ავტორიზაციის სამივე სტანდარტის ყველა ინდიკატორი.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:00 საათზე.

თავმჯდომარე
თამარ ცირეკიძე

მდივანი
მაია მაღლაკელიძე